ექვსი ქულა

27 მაისს ლ.პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მესამე კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. მის წინააღმდეგ თამაშობდა ახალგაზრდა გუნდი – მინსკის "დინამო".

თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა. მეთვრამეტე წუთზე თბილისელი ანთაძე ზუსტი კუთხური დარტყმით ხსნის ანგარიშს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ანთაძეს კვლავ გააქვს ბურთი მინსკელთა კარებში.

თბილისელთა მწყობრი იერიშები არ შენელებულა არც თამაშის მეორე ნახევარში. ოცდამეხუთე წუთზე თბილისელი მარცხენა გარემარბი პანიუკოვი, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებით კარგად თამაშობდა, გადადის გარღვევაზე და ძლიერად ურტყამს ახლო მანძილიდან. მესამე ბურთი ბადეშია. თამაშის დამთავრებამდე თბილისელმა ბერეჟნოიმ კიდევ ორი ბურთით გაზარდა გატანილი ბურთების რაოდენობა. მესამე კალენდარული შეხვედრა თბილისის "დინამომ" მოიგო ანგარიშით 5:0.

ამრიგად, თბილისის "დინამო" სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერია. მან სამი ჩატარებული შეხვედრიდან სამივე მოიგო და ექვსი შესაძლებელი ქულიდან მოაგროვა ექვსი.

ა. გოგოლაშვილი.
"კომუნისტი", 29 მაისი 1945 წ.